მნიშვნელოვან სასპორტო ღონისძიებათა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ვაჟა დანელია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2023.01.03.03

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ბიზნესი, შეჯიბრება, მსოფლიოს ჩემპიონატი, ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი, ყინულის სასახლე, ინფრასტრუქტურა, სოციალური შედეგი.

სოციალური განვითარების პროცესში ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო მეტად აღწევს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში, ამიტომ ისინი სახელმწიფოს ცხოვრების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, რადგან სპორტი არის ერთ-ერთი სოციალურ-კულტურული სფერო, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი სტიმულია საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრებების ჩატარება, რაც დიდ გავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნისა და მისი რეგიონების ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროს ფუნქციონირებაზე. ამ ასპარეზობათა მომზადებასა და გამართვას, ისევე როგორც ნებისმიერ გრძელვადიან პროექტს, პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა აქვს რეგიონის განვითარებასა და მის ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

არადა, დიდი ხნის განმავლობაში სპორტი და ეკონომიკა განიხილებოდა როგორც ორი ცალკეული განსხვავებული ინდუსტრია. მიიჩნეოდა, რომ სპორტი არის ჰობი, თავისუფალი დროის გატარება და საერთო არაფერი აქვს ეკონომიკასთან, პროფესიასთან ან ვაჭრობასთან. დღეს ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა: სპორტში კარგი ფულის გამომუშავება შეიძლება, ცხადია, მკაცრი კონკურენციის პირობებში.

ამდენად, ხდება ბაზრის კანონების სწრაფი შეღწევა სპორტში და, ამავდროულად, იზრდება სპორტის, როგორც საქონლის მიწოდება და ეს არის ზუსტად ის, რაც წარმოადგენს მთავარ შინაარსს სპორტის ეკონომიკისა. ეს უკანასკნელი კი შეიძლება განიმარტოს, როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს სპორტის ეკონომიკურ, ასევე, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ასპექტებს [1].

ზოგი მეცნიერის აზრით, სპორტის ეკონომიკას ჯერ კიდევ მრავალი შეუსწავლელი მხარე აქვს. ბევრი რამ ზოგადი ხასიათისაა. უპირველესად, ეს არის დაფინანსების,

სპორტის მენეჯმენტის, სპორტში შრომის ბაზრის, სპორტის სპონსორობის საკითხები. მაგრამ, ასევე, ჩნდება მრავალი კერძო შეკითხვა, რომლებიც დაკავშირებულია, მაგალითად, სპორტის ამა თუ იმ სახეობის სპეციფიკის გარკვევასთან და სწრაფ გადაწყვეტილებებს მოითხოვს [2].

დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი ეძებს ბალანსს სტრესსა და განმუხტვას შორის, სურთ იპოვონ თავიანთი მოწოდება ჯანმრთელობის შენარჩუნებით. თუ გვინდა, რომ მომავალში ჯანსაღი ერი გვყავდეს, აუცილებლად გვჭირდება ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც ესმით, რომ სპორტი უფრო მეტია, ვიდრე რეკორდებით, გამარჯვებებითა და მედლებით ყურადღების ცენტრში მდგარი მოვლენები.

სპორტი ეკონომიკის ნაწილია და მისი მართვა პროფესიულ, კომერციულ თუ სხვა სფეროში მოითხოვს შესაბამის სპეციალისტებს, მეთოდებსა და ფორმებს. სპორტმა მის ხელთ არსებული რესურსების დამოუკიდებლად სარგებლობა უნდა ისწავლოს, ამიტომ ჩვენი ქვეყნისთვის სპორტის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, განვითარება აუცილებელია.

ძველი საბერძნეთის დროიდან მოყოლებული, სასპორტო შეჯიბრებები ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი და პრესტიჟული ღონისძიება. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, ბოლო წლებში რეგულარულად აცხადებს პრეტენზიას მნიშვნელოვანი საერთაშორისო სასპორტო ასპარეზობების მასპინძლობაზე. ამ მხრივ ქვეყანამ სერიოზულად გააძლიერა თავისი პოზიცია, როგორც უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზატორმა, რაც მსოფლიოს საზოგადოების მხრიდან მის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღიარებაზე მიუთითებს.

საქართველოს სპორტის ინდუსტრიამ მიაღწია განვითარების ახალ დონეს და გახდა ეკონომიკის სრულფასოვანი სექტორი. ჩვენთან მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება ადასტურებს სპორტის ინდუსტრიის მნიშვნელობას ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში, გაიზარდა ჩვენი ქვეყნის, როგორც საიმედო პარტნიორის, იმიჯი.

დასტურად ისიც გამოდგება, რომ 2019 წელს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) 49-ე გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი 2025 წლის თებერვალ-მარტში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის საქართველოში ჩატარებას. ეს შეჯიბრება უმთავრესად ბაკურიანში გაიმართება. მედლები ზამთრის სპორტის 8 სახეობაში გათამაშდება - ფიგურულ ციგურაობაში, ციგურებით სწრაფრბენაში, ჰოკეიში, ბიატლონში, თხილამურებით რბენაში, სამთო თხილამურებში, სნოუბორდსა და ფრისტაილში [3].

საქართველომ მსგავსი ღონისძიების გამართვის გამოცდილება უკვე მიიღო 2015 წელს, როცა თბილისმა ღირსეულად უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალს. თუმცა ამჯერად შედარებით რთული ვითარებაა და გასაკეთებელიც ბევრად მეტია, რადგან საქმე ზამთრის სახეობებს ეხება – სფეროს, სადაც ბაზების თითქმის უმეტესობა თავიდანაა მოსაწყობი.

გადაწყვეტილია, რომ ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის ინფრასტრუქტურისთვის 100 მილიონი ლარი დაიხარჯება: ჰოკეისტთა შეჯიბრებისთვის თბილისში დიღმის ტერიტორიაზე ოლიმპიურ პარკში ყინულის ორდარბაზიანი სასახლე აშენდება. მთავარი დარბაზი 1500-მდე, ხოლო სათადარიგო - ხუთასამდე მაყურებელს დაიტევს. ფიგურული ციგურაობისა და ციგურებით სწრაფრბენისთვის ერთდარბაზიანი ყინულის სასახლე 2024 წლის შემოდგომაზე ბათუმში გაიხსნება, ბაკურიანში კი ბიატლონისა და თხილამურებით რბოლისთვის შესანიშნავი ბაზა მოეწყობა.

2023 წელს ბაკურიანმა ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში მსოფლიოს ჩემპიონატს პირველად და წარმატებით უმასპინძლა. შეჯიბრება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, მთის ტრასების სააგენტოსა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. მედლებისთვის 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი იბრძოდა.

მსოფლიოს პირველობის სრულფასოვნად მასპინძლობისთვის ბაკურიანში საჭირო მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა - დიდველსა და მიტარბიზე მოეწყო ტბის ორი ხელოვნური რეზერვუარი, რომლებსაც ჯამურად 300 მლნ ლიტრი წყლის მარაგი აქვს და 30-კილომეტრიანი გათოვლიანების სისტემას უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს. აშენდა 6 ახალი საშეჯიბრო ტრასა უნიკალური საბაგირო გზებით. შეიძინეს სპეცტექნიკა, უსაფრთხოების ინვენტარი. შესაბამისად, დაახლოებით 300 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა. ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის ორგანიზატორები ამ ბაზებს 2025 წლის პაექრობებისთვისაც გამოიყენებენ.

საქართველოში ფესტივალის გამართვა დიდ ეფექტს მოახდენს, რადგან ის მოიცავს არა მხოლოდ ერთ რეგიონს, არამედ საქართველოს დედაქალაქსა და აჭარასაც.

ცხადია, ყოველივე ზემოაღნიშნული იაფი არ არის, მაგრამ გასათვალისწინებელია სოციალური შედეგის მნიშვნელობა - ქვეყანა დიდ მოგებას მიიღებს. კერძოდ, ქართველ სპორტსმენებს დარჩებათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, აღორძინდება სპორტის ზამთრის სახეობები, მეტი ადამიანი ჩაერთვება სასპორტო ტურნირებში, ხელი შეეწყობა ზამთრის ტურიზმის განვითარებას, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები; ქვეყანა ინფრასტრუქტურასთან ერთად მიიღებს გადამზადებულ კვალიფიციურ კადრებს არა მარტო ზამთრის სპორტის, არამედ – ზამთრის ტურიზმისთვისაც. ამ ბაზებს

პროფესიულ სპორტთან ერთად მასობრივი სპორტიც გამოიყენებს; განვითარდება ბავშვთა სპორტი, მოსახლეობას გაუჩნდება დასვენების ალტერნატიული გზა, რომელიც ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარებას შეამცირებს და, შესაბამისად, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება; უფრო შესამჩნევი გახდება ქვეყნის პოლიტიკური თუ ზამთრის კურორტების ცნობადობა; აღნიშნული ინფრასტრუქტურა კურორტ ბაკურიანს გააძლიერებს, ზამთრის ტურისტულ სეზონს გაახანგრძლივებს და ვიზიტორთა გამტარუნარიანობას გაზრდის.

ლიტერატურა

1.Левченко Г. Н., Зайцев О. С., Гарцев А. В. Влияние физической культуры и спорта на экономическую сферу жизни государства и общества // Актуальные исследования. 2020. №19 (22). С. 84-88. URL: https://apni.ru/article/1283-vliyanie-fizicheskoj-kulturi-i-sporta-na-ekon (წვდომის თარიღი - 15.10.2023);

2.Разуваева, И. Ю. Экономика в области спорта / И. Ю. Разуваева, Г. М. Мадаминова. — Текст : непосредственный // Молодой ученый. — 2017. — № 15 (149). — С. 672-674. — URL: https://moluch.ru/archive/149/41051/ (წვდომის თარღი - 22.10.2023);

3. 2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს ბაკურიანი უმასპინძლებს, https://www.interpressnews.ge/ka/article/631056-2025-clis-evropis-zamtris-axalgazrdul-olimpiur-pestivals-bakuriani-umaspinzlebs/ (წვდომის თარიღი - 27 სექტემბერი, 2023);

4. Галкин В.В. Экономика спорта и спортивный Бизнес./ В.В. Галкин – М.:Кнорус, 2006 – 320 с.

5. Галкин В. Спортивная индустрия и экономика спорта: соотношение понятий// [Электронный ресурс]: http://21biz.ru/stadii-razvitiya-ekonomiki-sporta-v-rossii/ (წვდომის თარიღი - 5 ოქტომბერი, 2023).

რეზიუმე

სპორტი ეკონომიკის განუყოფელი ელემენტია, ამიტომაც ძალიან პოპულარულ და მომგებიან ბიზნესად იქცა. ნაშრომში ავტორი აანალიზებს ბაზრის კანონების შეღწევას სპორტის სფეროში და ხაზს უსვამს იმ დადებით ცვლილებებს ქვეყნის სასპორტო ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრებების მასპინძლობითაც დასტურდება. ამ მხრივ საქართველომ ბოლო პერიოდში

სერიოზულად გააძლიერა თავისი პოზიცია, როგორც უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზატორმა. ამიტომაც ანდეს ჩვენს ქვეყანას 2025 წლისთვის ისეთი გრანდიოზული სასპორტო ღონისძიების ჩატარება, როგორიცაა ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი.

ამ ფართომასშტაბიან ასპარეზობას კომპლექსური ეფექტი ექნება, კერძოდ, სოციალური, ეკონომიკური და მარკეტინგული: ქვეყანა დიდ მოგებას მიიღებს. ქართველ სპორტსმენებს დარჩებათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, აღორძინდება სპორტის ზამთრის სახეობები, ხელი შეეწყობა ზამთრის ტურიზმის განვითარებას, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები; ამ ბაზებს პროფესიულ სპორტთან ერთად მასობრივი სპორტიც გამოიყენებს; მოსახლეობას გაუჩნდება დასვენების ალტერნატიული გზა.

Socio-economic aspects of important sports events

Vazha Danelia

Doctor of Social Sciences

SUMMARY

Sports is an integral element of the economy, that's why it has become a very popular and profitable business. In the work, the author analyzes the penetration of market laws in the field of sports and emphasizes the positive changes in the sports life of the country, which is confirmed by the hosting of important international sports competitions. In this regard, Georgia has recently seriously strengthened its position as the organizer of the largest international competitions. That is why our country was promised to hold such a grand sports event as the European Youth Winter Olympic Festival by 2025.

This large-scale competition will have complex effects, namely, social, economic and marketing: the country will get a lot of profit; Georgian athletes will have an orderly infrastructure, winter sports will be revived, winter tourism will be promoted, new jobs will be created; Along with professional sports, mass sports will also use these bases; The population will have an alternative way of recreation.